

**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის
პროფესიული განვითარების საბჭოს
დებულება**

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. დებულება განსაზღვრავს პროფესიული განვითარების საბჭოს (შემდგომში - საბჭო) კომპეტენციას, მისი შექმნის და საქმიანობის წესს.
2. საბჭოს მიზანია დიპლომისშემდგომი პროფესიული მზადების/გადამზადების და უწყვეტი პროფესიული განვითარებისათვის (შემდგომში - უპგ) აუცილებელი ღონისძიებების მომზადება და ჩატარება.
3. საბჭო ხელს უწყობს დიპლომისშემდგომი პროფესიული მზადების/გადამზადების და უწყვეტი პროფესიული განვითარების სისტემების ორგანიზაციულ განვითარებას, მის სათანადო ღონეზე ფუნქციონირებას.
4. საბჭო საქმიანობას წარმართავს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წესდების, დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტის დებულების, წინამდებარე დებულების, "საექიმო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის, "ჯანმრთელობის შესახებ" საქართველოს კანონის, "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, სხვა კანონების და კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად.
5. საბჭო თანამშრომლობს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოსთან, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროებთან.

მუხლი 2. საბჭოს ამოცანები და ფუნქციები

1. დიპლომისშემდგომი პროფესიული მზადების/გადამზადების და უწყვეტი პროფესიული განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა, რეკომენდაციების მომზადება და დამტკიცება.

2. დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების და უწყვეტი პროფესიული განვითარების სისტემების მზადება-სწავლების მეთოდის განსაზღვრასთან დაკავშირებული რეკომენდაციების მომზადება და დამტკიცება.
3. დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების (რეზიდენტურის), გადამზადების, სუბსპეციალობის და უწყვეტი პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებით სათანადო დასკვნებისა და წინადადებების დამტკიცება.
4. კლინიკური პრაქტიკის მეთოდური რეკომენდაციების, კლინიკური მდგომარეობათა მართვის სტანდარტების შემუშავებასთან დაკავშირებით სათანადო დასკვნების და წინადადებების დამტკიცება.
5. დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების (რეზიდენტურის), გადამზადების, სუბსპეციალობის და უწყვეტი პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის შემდგომი მსვლელობისათვის რეკომენდაციების მომზადება.
6. საექიმო სპეციალობების შესაბამის გადამზადების, სუბსპეციალობის და უწყვეტი პროფესიული განვითარების პროგრამებით მზადების კურსის მოცულობის და ხანგრძლივობის განსაზღვრა, დამტკიცება, რეკომენდაციების მომზადება და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში დასამტკიცებლად წარდგენა.
7. დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების (რეზიდენტურის), გადამზადების, სუბსპეციალობის და უწყვეტი პროფესიული განვითარების პროგრამების განხორციელების ხარისხის შეფასება და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება.
8. დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების (რეზიდენტურის), გადამზადების, სუბსპეციალობის და უწყვეტი პროფესიული განვითარების პროგრამების განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემების ანალიზი, შესაბამისი მასალების ექსპერტიზა და დანერგვასთან დაკავშირებული მეთოდური რეკომენდაციის დამტკიცება.
9. სამედიცინო და არასამედიცინო პერსონალის გადამზადების და უწყვეტი პროფესიული განვითარების სისტემის უზრუნველყოფა სხვადასხვა ტიპის სამედიცინო და ინსტიტუციური დაწესებულებების საჭიროების გათვალისწინებით.
10. განიხილავს აფილირებული კლინიკის და კლინიკის პროფესორის სტატუსის მინიჭების საკითხს და დასამტკიცებლად წარუდგენს თსსუ-ის აკადემიურ საბჭოს.
11. საბჭოს დებულებაში ცვლილებების და დამატებების შესახებ პროექტის მომზადება - განხილვა და დასამტკიცებლად აკადემიურ საბჭოზე წარდგენა.
12. საბჭოს ყოველწლიური ანგარიშის განხილვა-დამტკიცება.

მუხლი 3. საბჭოს შემადგენლობა და სტრუქტურა

1. საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება 25 წევრით. *(თსსუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს 06.07.18 23/9 დადგენილებით)*

2. საბჭოს შემადგენლობას 3 წლით ამტკიცებს თსსუ-ის აკადემიური საბჭო.

3. პროფესიული საბჭოს სხდომები ფორმდება ოქმით, რეგისტრაციის უწყვეტობას უზრუნველყოფს სამდივნო, რომლის მუშაობას ახორციელებს დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტი. ოქმს თან ერთვის ყველა ის მასალა, რაც სხდომის დღის წესრიგის მიხედვით განიხილებოდა. ოქმის ნამდვილობას ხელმოწერით ადასტურებენ სხდომის თავმჯდომარე და მდივანი.

4. პროფესიული საბჭოს სხდომის ოქმი მოიცავს:

4.1. სხდომის თარიღსა და ადგილს;

4.2. სხდომის წევრებისა და მოწვეულ პირთა სიას;

4.3. დღის წესრიგს;

4.4. მიღებულ გადაწყვეტილებებს.

5. პროფესიული საბჭო უფლებამოსილია, დადგენილების ფორმით მიიღოს გადაწყვეტილება ყველა იმ საკითხზე, რომელიც პროფესიული საბჭოს კომპეტენციას განეკუთვნება.

6. საბჭოში ფუნქციების შესასრულებლად იქმნება სპეციალისტ-ექსპერტთა ჯგუფი. საბჭოს საქმიანობაში, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია საერთაშორისო ან დამოუკიდებელ ექსპერტთა მოწვევა.

7. პროფესიული საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლები:

7.1. სასამართლოს მიერ შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, თუ სასამართლოს მიერ სხვა რამ არ არის განსაზღვრული;

7.2. კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი;

7.3. პირადი განცხადება;

7.4. არასაპატიო მიზეზით, წლის განმავლობაში, ორჯერ გამოუცხადებლობა საბჭოს სხდომებზე.

მუხლი 4. საბჭოს მუშაობის წესი

1. საბჭოს მუშაობას წარმართავს საბჭოს თავმჯდომარე, ან თანათავმჯდომარე წინასწარ განსაზღვრული და საბჭოს მიერ დამტკიცებული დღის წესრიგის საფუძველზე.

2. საბჭო უფლებამოსილია ჩაატაროს სხდომა და მიიღოს გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით, თუ სხდომას ესწრება საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

3. საბჭოს სხდომა ტარდება 3 თვეში ერთხელ.

4. რიგგარეშე სხდომა ინიშნება საბჭოს თავმჯდომარის ან თანათავმჯდომარის გადაწყვეტილებით.

მუხლი 5. გარდამავალი დებულება

1. წინამდებარე დებულების ამოქმედების შემდეგ, შესაბამისობაში იქნას მოყვანილი პროფესიული საბჭოს სტრუქტურა ამ დებულებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

2. წინამდებარე დებულების დამტკიცების შემდეგ, ძალადაკარგულად ჩაითვალოს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2011 წლის 25 თებერვლის N24/4 დადგენილებით დამტკიცებული პროფესიული განვითარების საბჭოს დებულება.

ვიზა:

რექტორის აპარატის უფროსი

ნინო რუხაძე

იურიდიული სამსახურის უფროსი

მზია დუნდუა

დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტის დირექტორი

ზაზა ბოხუა